

492.7
h-697

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის
ინსტიტუტი

სელნაწერის უფლებით

გურამ ჩიქოვანი

შპა აზის კაშპადარიული არაბული დიალექტი

სპეციალობა:

სემიტური ენები - 10.02.17

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის
მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის

ა მ ტ ო რ ე ვ ე რ ა ტ 0

თბილისი
-2002-

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა
აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთ-
მცოდნობის ინსტიტუტში.

ოფიციალური ოპონენტები:

აკადემიკოსი

კონსტანტინე წერეთელი

ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი ნანა ფურცელაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი რუსული გვარამია

დისერტაციის დაცვა შედგება
2002 წლის 18 თებერვალი 14⁰⁰ საათზე
აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის
ინსტიტუტის აღმოსავლეთმცოდნეობის სადისერტაციო საბჭოს
(P10.06N9) სხდომაზე.

მისამართი: 380062, თბილისი, აკად. გ. წერეთლის ქ. №3

დისერტაციის გაცნობა შეიძლება აკად. გ. წერეთლის
სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო
ბიბლიოთეკაში.

ავტორუფერატი დაიგზავნა 18. 09. 2002

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა
კანდიდატი ს. ჭავჩავაძე დ. სანი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

საღისერტაციო ნაშრომის მიზნები და ამოცანები

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება არაბული ენათმეცნიერების, კერძოდ, არაბული დიალექტოლოგიის მნიშვნელოვან პრობლემას – მეცნიერებისათვის ნაკლებად ცნობილი შუა აზიის კაშკადარიული არაბული დიალექტის (კად) ენობრივი ფენომენის ახსნას. შეუაზიური არაბულის მსგავსად, პერიფერიულ არაბულ დიალექტებს განკუთვნება თურქეთ-სირიის სასაზღვრო ზოლში არსებული დიალექტები, კვიპროსის არაბული, ანდალუსიის ძველი არაბული დიალექტი, ირანის ხუზისთანის არაბული და სხვა.

პერიფერიული არაბული დიალექტები ავლენებ მრავალფეროვან ლინგვისტურ თავისებურებებს, რაც უმეტესწილად განპირობებულია მათი მჭიდრო ენობრივი კონტაქტებით არამონათესვე ინდოევროპულ, თურქულ და სხვა ენებთან. ისინი შეიცავენ უაღრესად მდიდარ მასალას ზოგადლინგვისტური პრობლემატიკის საკვლევად. აღნიშნულ დიალექტებზე დაკვირვება შესაძლებლობას იძლევა განისაზღვროს სემიტური ენების განვითარების ტენდენციები, რაც საყურადღებოა ისტორიული ენათმეცნიერების თვალსაზრისითაც.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს შუა აზიის კაშკადარიული არაბული დიალექტის ფონეტიკური, ფონოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური გამოკვლევა, მისი ენობრივი არსის სრულად წარმოჩენა. კაშკადარიული დიალექტის ენობრივი თავისებურებები ქმნიან სისტემას, რომლისთვისაც დამახასიათებელია სალიტერატურო არაბული ენისა და სხვა არაბული დიალექტების მსგავსი და განსხვავებული ნიშნები. სადისერტაციო ნაშრომში ძირითადი ყურადღება ამ უკანასკნელზე არის გამახვილებული, ვინაიდან დიალექტი, როგორც მეტყველების ფაქტი, შეუზღუდვით ცვლილებების თვალსაზრისით. ნათქვამი ისე არ უნდა გავიგოთ, თოთქოს კაშკადარიულ დიალექტს არ გააჩნდეს საკუთარი ნორმები. ენის შინაგანი განვითარების კანონზომიერებებმა საუკუნეების განმავლობაში ჩამოაყალიბეს კაშკადარიული დიალექტი, რომელიც ფუნქციონირებს საკუთარი ენობრივი მახასიათებლებით. იგი დღესაც განიცდის ცვლილებებს. ნაშრომში განხილულია ენის მკაფიო გრამატიკული სისტემის რდვევის შემთხვევებიც.